*ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის*

ოქმი №7

ქ. ვანი 11 ივლისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ გეგიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ალექსანდრე მჟავანაძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ავთანდილ ჭელიძე - ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, წევრი.

რუსუდან აბჟანდაძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.

შოთა კორძაძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.

რამლეზი ოჩხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

თამარ ადეიშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შუამთა-ტობანიერის (პირველი კილომეტრი) დამეწყრილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისა და ბაღდათი-ვანი-დაფნარის გზის მონაკვეთის (ვანის მონაკვეთი) ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.*

*მოისმინეს:* საკონკურსო კომისიის წევრის ავთანდილ ჭელიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა კონკურსის საშუალებით საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის შესახებ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს კონკურსის ჩატარების შესახებ სკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

დაადგინეს:

1) დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესწიდვის წარმოდგენილი განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სხდომის თავმჯდომარე: ალექსანდრე მჟავანაძე

მოადგილე: ავთანდილ ჭელიძე

კომისიის წევრები:

1. რუსუდან აბჟანდაძე
2. შოთა კორძაძე

აპარატის წევრები:

1. რამლეზ ოჩხიკიძე
2. თამარ ადეიშვილი